საქართველოს კანონი

თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებულ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიისთვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიული და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნა;

ბ) მოაწესრიგოს თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (სამართლებრივი მექანიზმი);

გ) შექმნას თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის სისტემა;

დ) მოაწესრიგოს თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის მექანიზმები.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ხელი შეუწყოს თრუსოს დაცული ლანდშაფტის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, აღდგენასა და გონივრულ გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოს თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით – გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა;

გ) უზრუნველყოს თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიისთვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, აგრეთვე ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურის ძეგლებისა და განაშენიანების ტიპის დაცვა და შენარჩუნება;

დ) ხელი შეუწყოს რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

ე) ხელი შეუწყოს ხალხური შემოქმედების ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას.

მუხლი 3. თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნა და მისი მიზნები

1. თრუსოს დაცული ლანდშაფტი იქმნება ეროვნული მნიშვნელობისა და დიდი ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი ლანდშაფტისა და ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად,

სასიცოცხლო გარემოს შესანარჩუნებლად, რეკრეაციული, ტურისტული და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განსახორციელებლად.

2. თრუსოს დაცული ლანდშაფტის ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზება (ზონირება) ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

3. თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზნებია:

ა) უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემების ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარებისა და განადგურებისგან დაცვა;

ბ) უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის – შენარჩუნება;

გ) ბუნებრივი ლანდშაფტისა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებებსა და ტურისტულ რესურსებზე რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის (მოწყობის) ხელშეწყობა;

დ) ხალხური შემოქმედების ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება;

ე) ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებისა და გარემოსდაცვითი საკითხების დაბალანსება ბუნებრივი გარემოს აქტიური დაცვითა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების შენარჩუნებით.

4. ამ კანონით გათვალისწინებული თრუსოს დაცული ლანდშაფტის ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზება (ზონირება) და შესაბამის ზონებში დაშვებული საქმიანობები, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განისაზღვრება თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით.

მუხლი 4. თრუსოს დაცული ლანდშაფტის მდებარეობა და ფართობი

1. თრუსოს დაცული ლანდშაფტი მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოიცავს თრუსოს ხეობას.

2. თრუსოს დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობია 7 007 ჰექტარი. თრუსოს დაცული ლანდშაფტი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	443898,3	4724525,9	175	453343,9	4720091,9	349	455438,8	4714535,7	523	446609,4	4718626,3
2	443965,6	4724451,9	176	453401,3	4720120,9	350	455339,7	4714546,6	524	446494,7	4718685,9
3	444031,6	4724376,8	177	453461	4720040,7	351	455245,4	4714579,8	525	446400,9	4718693,8
4	444094	4724298,7	178	453526,1	4719966,6	352	455150,4	4714610,4	526	446341,3	4718633,9
5	444169,1	4724233,4	179	453613,1	4719917,2	353	455051,8	4714627,2	527	446260,5	4718711,8
6	444248,2	4724172,2	180	453700	4719867,7	354	454961,4	4714634,4	528	446169,5	4718751,8
7	444330,7	4724115,7	181	453793,8	4719834,1	355	454882,4	4714730,3	529	446089,5	4718789,5
8	444421,4	4724074,9	182	453889,1	4719803,9	356	454848,4	4714969,6	530	446002,6	4718830,3

9	444519,7	4724067,8	183	453983,4	4719771,1	357	454887,3	4714953,2	531	445915,4	4718879,3
10	444619,6	4724070,6	184	454072,2	4719725	358	454980,9	4714919,2	532	445828,2	4718928,2
11	444696,6	4724120,7	185	454159,4	4719676,8	359	455068	4714880,5	533	445741	4718977,2
12	444751,4	4724204,1	186	454230,1	4719606,1	360	455148,6	4714822,5	534	445653,8	4719026,2
13	444820,2	4724263,8	187	454300,8	4719535,4	361	455236,4	4714778,6	535	445566,6	4719075,1
14	444917,4	4724246,4	188	454371,5	4719464,7	362	455332,4	4714772,3	536	445479,4	4719124,1
15	445011,6	4724213,4	189	454428,9	4719382,8	363	455430,4	4714791,9	537	445391,6	4719171,9
16	445098	4724163	190	454486,2	4719300,9	364	455492,4	4714860,7	538	445303,5	4719219,3
17	445187,6	4724119,4	191	454546,7	4719221,4	365	455445,7	4714946,6	539	445215,5	4719266,7
18	445281,1	4724084	192	454610,5	4719144,3	366	455394,9	4715032,6	540	445125,5	4719310,3
19	445376,1	4724052,7	193	454674,3	4719067,3	367	455361,4	4715126,8	541	445035,1	4719353,1
20	445471,8	4724023,7	194	454731,7	4718985,5	368	455308,8	4715211,3	542	444944,7	4719395,9
21	445558,3	4723976	195	454788,6	4718903,2	369	455236,9	4715280,4	543	444854,4	4719438,7
22	445634,5	4723913,5	196	454860,8	4718835	370	455144,2	4715310,6	544	444764	4719481,5
23	445677,7	4723823,3	197	454937,6	4718771	371	455044,9	4715300,9	545	444674,7	4719526,5
24	445684,2	4723724,8	198	455013,2	4718705,7	372	454945,4	4715303,1	546	444587,3	4719575
25	445687,2	4723624,8	199	455077,4	4718629,1	373	454911,6	4715390	547	444496,6	4719615,4
26	445731,1	4723543,2	200	455141,7	4718552,5	374	454861,9	4715469,2	548	444400	4719641,2
27	445804,7	4723475,5	201	455205,3	4718475,3	375	454772	4715513	549	444303,1	4719666,2
28	445879,4	4723409,1	202	455267,8	4718397,2	376	454678,7	4715541,6	550	444206	4719689,8
29	445961,4	4723352	203	455333,4	4718322,5	377	454590,4	4715495,4	551	444109,2	4719714,8
30	446044,3	4723296	204	455416,2	4718266,4	378	454498,8	4715458,4	552	444015,3	4719749,2
31	446121,5	4723232,8	205	455499	4718210,3	379	454400,2	4715456,2	553	443921,1	4719782
32	446198,6	4723170	206	455592	4718188,2	380	454302,2	4715447,1	554	443821,2	4719785,8
33	446290,5	4723130,7	207	455690,5	4718200,3	381	454207,3	4715478,4	555	443724,2	4719802,6
34	446382,9	4723093,5	208	455788,2	4718220,9	382	454116	4715518,1	556	443632,4	4719842,4
35	446482,9	4723093,5	209	455834,9	4718280,2	383	454026,8	4715562,9	557	443539,1	4719877
36	446582,8	4723097,9	210	455841,3	4718379,6	384	453932,4	4715595,5	558	443440,7	4719894,9

37	446674,5	4723136,2	211	455867,3	4718475,8	385	453839,2	4715624,9	559	443342,4	4719913
38	446771	4723119,4	212	455887	4718573,8	386	453747	4715627,7	560	443244,6	4719933,9
39	446866,7	4723090,2	213	455901,8	4718672,7	387	453684	4715551,7	561	443146,8	4719954,9
40	446962,3	4723061,1	214	455868,3	4718765,7	388	453601,6	4715497,2	562	443049,1	4719976,2
41	447052,7	4723021,6	215	455830,1	4718858,1	389	453517,7	4715447,6	563	442951,7	4719998,7
42	447124,1	4722951,8	216	455813,5	4718954,2	390	453438,6	4715388,5	564	442853,6	4720018
43	447186	4722873,3	217	455816,5	4719053,9	391	453348,2	4715346,4	565	442761,2	4720051,8
44	447248	4722794,8	218	455803	4719153	392	453301,9	4715258,8	566	442661,4	4720054,9
45	447278,1	4722699,9	219	455807,1	4719252,7	393	453254,9	4715170,9	567	442561,5	4720055,6
46	447323	4722611	220	455797,5	4719351,5	394	453259,8	4715078,6	568	442461,6	4720061,1
47	447367,3	4722521,5	221	455791,4	4719451,2	395	453315,8	4715027,5	569	442362	4720069,5
48	447422,8	4722438,3	222	455800,5	4719549,4	396	453418	4714966,7	570	442262,3	4720078,1
49	447401,3	4722356	223	455809,1	4719647,8	397	453399,3	4714903,5	571	442162,7	4720086,7
50	447316,3	4722303,4	224	455784,9	4719742,8	398	453425	4714808,7	572	442063	4720094,3
51	447236,5	4722243,2	225	455747,5	4719835,4	399	453492,8	4714736,2	573	441963,1	4720096,8
52	447181,5	4722161,8	226	455731,8	4719933,6	400	453617,8	4714683,1	574	441863,1	4720099,3
53	447202,5	4722074,5	227	455696,3	4720026,1	401	453358,1	4715034,6	575	441765	4720115,1
54	447295,7	4722039	228	455671,6	4720120,3	402	453623,6	4714520,3	576	441668,5	4720141,1
55	447394,6	4722024,1	229	455656,9	4720218,8	403	453633,9	4714422,6	577	441570,8	4720162,5
56	447492,9	4722005,5	230	455625,8	4720313,5	404	453696,3	4714354,8	578	441474,8	4720188,2
57	447588,9	4721978,5	231	455577,6	4720400,5	405	453694,4	4714221,6	579	441425,9	4720266,1
58	447683	4721944,9	232	455561,6	4720497,6	406	453681,2	4714190,6	580	441407,9	4720364
59	447776,9	4721910,3	233	455560,9	4720597,1	407	453567,7	4714124,5	581	441411,7	4720463,9
60	447869,9	4721874	234	455563	4720696,5	408	453583,9	4714013,2	582	441424,1	4720562,7
61	447952	4721816,9	235	455561,6	4720796,5	409	453501,3	4714012,6	583	441445,8	4720660,4
62	448029,8	4721754,9	236	455574	4720895,6	410	453333,3	4714010,8	584	441457,6	4720759,4
63	448095,3	4721679,6	237	455585	4720994,8	411	453307,5	4714029,2	585	441464,7	4720859,2
64	448164,7	4721610,1	238	455604,8	4721091,1	412	453212,9	4714051,3	586	441483,6	4720957,2
65	448247,4	4721553,9	239	455637,3	4721185	413	453133,5	4713991,7	587	441504,6	4721055

66	448325,7	4721492	240	455649,7	4721283,7	414	453110,3	4713969,9	588	441525,5	4721152,8
67	448401,3	4721426,5	241	455646,6	4721383,7	415	452918,5	4714155,9	589	441545,1	4721250,9
68	448476,6	4721360,7	242	455643,3	4721483,6	416	452641,4	4714270,9	590	441564,7	4721348,9
69	448550,2	4721293,1	243	455641,3	4721583,5	417	452453,8	4714340	591	441609,9	4721436,6
70	448633,4	4721237,6	244	455651,4	4721682,7	418	452260	4714389,2	592	441664,1	4721520,6
71	448718,4	4721184,9	245	455731,4	4721734,6	419	452142,9	4714401,7	593	441701,1	4721610,1
72	448769,1	4721099,7	246	455826,8	4721722,5	420	452070,2	4714571,8	594	441704,8	4721710
73	448803,9	4721006,9	247	455868	4721638,2	421	451988,8	4714753,2	595	441706,4	4721751,7
74	448826,6	4720909,5	248	455881,8	4721539,1	422	451950,3	4714845,3	596	441817,1	4721985
75	448869,1	4720820,9	249	455895,9	4721440,1	423	451882,1	4714915,8	597	441865	4722072,8
76	448925,5	4720738,2	250	455910,2	4721341,2	424	451790,8	4714956,6	598	441916,7	4722158,3
77	448983	4720656,4	251	455924,6	4721242,2	425	451698,2	4714994,2	599	441972,2	4722241,5
78	449046,1	4720579,1	252	455938,9	4721143,2	426	451608,1	4715033,7	600	442051,1	4722301,6
79	449113	4720504,8	253	455954,2	4721044,4	427	451557,3	4715119	601	442143,3	4722334,1
80	449201,6	4720459,9	254	455970,3	4720945,7	428	451472,9	4715171,9	602	442241,8	4722351
81	449288	4720410,9	255	455989,3	4720847,6	429	451377,4	4715199,8	603	442340,4	4722367,8
82	449366,4	4720348,9	256	456010,1	4720749,7	430	451278,6	4715208,6	604	442438,6	4722386,9
83	449446,3	4720303,6	257	456027,7	4720651,3	431	451195,8	4715190,2	605	442536,7	4722406,2
84	449527,1	4720362,6	258	456044,8	4720552,8	432	451181,5	4715176,5	606	442634,8	4722425,5
85	449607,9	4720421,5	259	456061,9	4720454,3	433	451153,8	4715258,5	607	442732,9	4722444,9
86	449685,7	4720484,2	260	456083,2	4720356,9	434	451080	4715325,9	608	442823,8	4722482,3
87	449763,2	4720547,5	261	456120	4720263,9	435	451001,1	4715387,4	609	442913,7	4722525,1
88	449840,3	4720611,1	262	456156,8	4720170,9	436	450915,8	4715436,1	610	443006,4	4722562,9
89	449917,2	4720675,1	263	456198,8	4720080,4	437	450817,2	4715452,9	611	443088,3	4722619,1
90	449991	4720742,2	264	456245,8	4719992,1	438	450717,7	4715462	612	443165,8	4722682,1
91	450058,8	4720815,8	265	456290,2	4719902,5	439	450617,9	4715467	613	443240,3	4722748,9
92	450126,6	4720889,3	266	456331,3	4719811,4	440	450526,1	4715473,7	614	443301,7	4722817,1
93	450194,3	4720962,9	267	456366,4	4719717,8	441	450475,5	4715559,9	615	443377,4	4722861,2

94	450259,6	4721038,7	268	456388,5	4719621,3	442	450424,9	4715646,2	616	443307,7	4722923,7
95	450324,9	4721114,4	269	456398,7	4719522,1	443	450374,3	4715732,5	617	443228,5	4722983,4
96	450390,2	4721190,1	270	456430,4	4719427,2	444	450335,1	4715823	618	443166,1	4723039,8
97	450450	4721269,8	271	456462	4719332,4	445	450272,9	4715896,9	619	443069,8	4723066,8
98	450501,5	4721355,6	272	456485,5	4719236,2	446	450181,5	4715936,6	620	442970,8	4723080,8
99	450552,9	4721441,3	273	456485,5	4719136,2	447	450084	4715957,4	621	442907	4723154,2
100	450604,9	4721526,7	274	456499,9	4719038	448	450020,5	4715953,1	622	442811,3	4723182,9
101	450663,6	4721607,6	275	456523,5	4718940,9	449	449925,2	4715849,7	623	442714,1	4723206,6
102	450722,4	4721688,6	276	456547,8	4718843,9	450	449797,4	4715945,8	624	442620,9	4723241,9
103	450781,1	4721769,5	277	456567,4	4718745,9	451	449676,2	4715888,3	625	442509,8	4723276,6
104	450839,9	4721850,4	278	456586,3	4718647,9	452	449580,4	4715860,7	626	442439,5	4723313,7
105	450908	4721923,3	279	456631,7	4718559,2	453	449481,3	4715847,9	627	442346,3	4723280,1
106	450978,7	4721994,1	280	456679,1	4718471,1	454	449381,9	4715836,6	628	442309,4	4723257,1
107	451055,6	4722056,5	281	456727,1	4718383,4	455	449299,4	4715815,5	629	442185	4723341,3
108	451143,3	4722104,5	282	456777,5	4718297	456	449146,9	4715973,2	630	442145,8	4723363
109	451230,9	4722143,9	283	456848,4	4718226,9	457	448884,4	4716318,6	631	442132,5	4723488,2
110	451317,9	4722094,5	284	456921,2	4718158,4	458	448966,1	4716148,7	632	442607,5	4723479,6
111	451404,8	4722045,1	285	456988,2	4718084,3	459	448961,1	4716196,5	633	442589,3	4723521
112	451388,4	4721976,9	286	457053,7	4718008,8	460	448934,4	4716290,3	634	442572,3	4723618,4
113	451325,6	4721899	287	457128	4717941,9	461	448808,9	4716318,3	635	442583,1	4723716,6
114	451263,8	4721820,4	288	457226,6	4717881,8	462	448764,3	4716367,5	636	442588,1	4723816,5
115	451190,2	4721753	289	457309,9	4717870	463	448680,5	4716420,8	637	442595,3	4723916,2
116	451140,9	4721667,1	290	457456,4	4717848	464	448583,6	4716444,6	638	442605,9	4724015,6
117	451115,9	4721570,3	291	457430,9	4717804,8	465	448484,3	4716438	639	442615,4	4724115
118	451083,1	4721475,9	292	457347,4	4717750,1	466	448391,7	4716401,7	640	442641,9	4724210,9
119	451060	4721378,6	293	457312,1	4717663	467	448358,3	4716377,6	641	442659,5	4724296,9
120	451036,8	4721281,4	294	457336,5	4717566,8	468	448157,4	4716540,5	642	442614,3	4724350,2
121	451010,2	4721185	295	457364,7	4717471,7	469	447905,3	4716744,9	643	442665,7	4724433,2
122	450970,2	4721093,6	296	457359,9	4717371,8	470	447861,7	4716806,1	644	442754,9	4724415,9

123	450926,4	4721003,7	297	457372,5	4717273,2	471	447776,1	4716855,7	645	442850,2	4724403,6
124	450881,7	4720914,3	298	457403	4717178	472	447677,7	4716870,3	646	442950,2	4724403,6
125	450836	4720825,6	299	457415,9	4717079	473	447563,3	4716825,7	647	443049,9	4724405,9
126	450759,2	4720761,6	300	457415,9	4716979,1	474	447490,1	4716849	648	443145,7	4724434,7
127	450699,8	4720681,4	301	457405,1	4716879,7	475	447394,8	4716879,1	649	443240	4724467,2
128	450644,4	4720598,3	302	457383,4	4716782,1	476	447299,4	4716909,3	650	443330,1	4724510,6
129	450590,9	4720513,8	303	457351,7	4716687,3	477	447186	4716945,1	651	443424,5	4724540,2
130	450508,4	4720457,3	304	457310,1	4716596,5	478	447178,3	4716978,7	652	443519,4	4724568,6
131	450442,1	4720382,8	305	457258,4	4716510,9	479	447033,6	4716980,9	653	443609,6	4724611,7
132	450377,4	4720306,5	306	457200,5	4716429,4	480	446933,6	4716980,9	654	443707,2	4724633,1
133	450440	4720259,8	307	457133,1	4716355,7	481	446833,9	4716973,2	655	443792,8	4724590,4
134	450530,3	4720216,9	308	457049,2	4716302,4	482	446735,1	4716959,1	656	443878,2	4724538,2
135	450617,5	4720167,9	309	456951,7	4716280,8	483	446641,6	4716924,6	657	450391,1	4715895
136	450682	4720095,8	310	456857,9	4716247,5	484	446558,4	4716870,2	658	450475,3	4715902,9
137	450736,5	4720013,2	311	456769,6	4716200,7	485	446487,3	4716799,9	659	450487,3	4716020,8
138	450818,4	4719955,8	312	456672,5	4716179,6	486	446427,9	4716719,6	660	450446	4716043,1
139	450895,7	4719893,4	313	456572,9	4716172,4	487	446390,7	4716629,7	661	452580,1	4715259,2
140	450960,1	4719816,9	314	456482,6	4716130,9	488	446312,9	4716715,9	662	452839,2	4714779,3
141	451025,2	4719740,9	315	456404,5	4716068,6	489	446324,7	4716798,9	663	452888,8	4714749,3
142	451091,3	4719666	316	456354,2	4715987,6	490	446326,8	4716898,8	664	452942,1	4714729,3
143	451164,5	4719598,2	317	456370,3	4715889,3	491	446324,6	4716998,7	665	452943	4714690,1
144	451250,2	4719550,9	318	456409,2	4715797,2	492	446317,7	4717098,4	666	452991	4714675,8
145	451345,7	4719521,4	319	456442,8	4715703,3	493	446308,1	4717197,5	667	453011,9	4714585,4
146	451437,7	4719482,1	320	456460,6	4715604,9	494	446313,5	4717297,4	668	452945,9	4714520,6
147	451527,1	4719437,4	321	456469,9	4715505,4	495	446321,7	4717397	669	452969,1	4714433,1
148	451622,2	4719410,5	322	456469,9	4715405,4	496	446318,6	4717496,1	670	452947,3	4714337,6
149	451721,2	4719396,5	323	456461,3	4715305,8	497	446316,8	4717595,9	671	452997,3	4714294,5
150	451817,9	4719373,4	324	456486,7	4715212,4	498	446341,9	4717689,8	672	452990,5	4714390,9

151	451910,7	4719336,4	325	456512,7	4715117,3	499	446417,5	4717755,2	673	453013	4714478,7
152	451998,8	4719289,2	326	456529,9	4715019,2	500	446502,9	4717806,8	674	453038,2	4714441,2
153	452086,9	4719241,9	327	456579,8	4714932,9	501	446526,3	4718643,7	675	453073,3	4714526,1
154	452166,7	4719182,3	328	456640,3	4714853,9	502	446684,7	4717889,7	676	453053,1	4714618,3
155	452229,6	4719106,3	329	456722,3	4714796,9	503	446773,5	4717935,7	677	453071,3	4714705,7
156	452284,6	4719023,3	330	456779,5	4714735,8	504	446906,1	4717987,5	678	453141,4	4714707,2
157	452352,5	4718949,8	331	456748	4714641,6	505	446986,9	4718054,3	679	453175,1	4714701,1
158	452420,1	4718876,1	332	456776,2	4714551,8	506	447039,3	4718057,8	680	453213,4	4714745,2
159	452493,7	4718808,8	333	456845,4	4714481,3	507	447138,3	4718070,3	681	453131,6	4714753,7
160	452584,4	4718841,5	334	456843,4	4714390,4	508	447186,6	4718136,3	682	453047	4714741,6
161	452665,8	4718893,6	335	456768,8	4714326,4	509	447106,8	4718192,1	683	452951	4714763,7
162	452719,6	4718977,9	336	456726,3	4714287,6	510	447039,5	4718193,6	684	452864,9	4714813,1
163	452773,4	4719062,1	337	456602	4714357	511	447033,2	4718237,6	685	452810,7	4714803,5
164	452819,8	4719150	338	456505,1	4714378,7	512	447200,7	4718321	686	452591,2	4715246
165	452852,6	4719244,5	339	456410,9	4714356,2	513	447339,6	4718310,9	687	452575,9	4715237,3
166	452906	4719327,6	340	456312	4714369	514	447379,2	4718369,7	688	452567,7	4715245,8
167	452968,5	4719405,7	341	456219,1	4714405,1	515	447296,6	4718402,8	689	452568,5	4715258,4
168	453003,9	4719498,9	342	456120,5	4714419,2	516	447207,7	4718447,5	690	450412,4	4715976,2
169	453042,7	4719589,9	343	456020,5	4714419,3	517	447128,9	4718509,1	691	450390,8	4715943,4
170	453113,4	4719660,6	344	455921,3	4714431,4	518	447045,3	4718563,7	692	450453,9	4715879,9
171	453184,1	4719731,3	345	455823,5	4714451,9	519	446956,2	4718608,9	693	450478,4	4715935,4
172	453220,2	4719822,6	346	455729,9	4714486,8	520	446863,5	4718645,6	694	450472,5	4715977,8
173	453248,4	4719918,5	347	455637,5	4714524,9	521	446765	4718659,5	695	450418,6	4715880,5
174	453287,7	4720009,2	348	455538,7	4714537,6	522	446666,2	4718645,9			

მუხლი 5. თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მათ შორის, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის, შესაბამისად.

2. თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დასაშვებია გარემოსა და ისტორიული და

კულტურის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა და აღდგენა, მანიპულაციური მეცნიერული კვლევის ჩატარება, ბუნებრივი ეკოსისტემებისა და მათ ფარგლებში ბუნებრივად გავრცელებული სახეობების კონსერვაცია და აღდგენა, რეკრეაციული, ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობების განხორციელება, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განხორციელება, მათ შორის, მხოლოდ თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსით (ფიქლის ქვით) სარგებლობა, ტურიზმისა და თრუსოს დაცული ლანდშაფტის განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, მათ შორის, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში არაუმეტეს 6 მეგავატი სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და ტურიზმისა და რეგიონის განვითარების ხელშეწყობისთვის, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ვიზუალური მხარის შეუცვლელად, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით, დაშვებული სხვა საქმიანობების განხორციელება.

3. თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ობიექტის აშენებისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემამდე საბაზისო არქიტექტურულ-სამშენებლო და ტექნიკური პარამეტრები და ასაშენებელი ობიექტის რენდერები უნდა შეუთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

მუხლი 6. თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები

1. თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვა ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. თრუსოს დაცულ ლანდშაფტს მართავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, რისთვისაც გამოიყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

3. თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილეობს წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო), რომელსაც ქმნის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობა, უფლებები, მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა, პროცედურული საკითხები განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) წესდებით, რომელსაც ამტკიცებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში შედის (შედიან) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) წარმომადგენელი (წარმომადგენლები) ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) გადაწყვეტილებები ვრცელდება თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე.

6. სახელმწიფოს მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებებია:

ა) თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვა, დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება;

გ) თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მონიტორინგის განხორციელებისა და მეცნიერული კვლევის ჩატარების ორგანიზება, დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება;

დ) თრუსოს დაცული ლანდშაფტის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის რეგულარულად მომზადება და გამოქვეყნება;

ე) თრუსოს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრირება;

ვ) თრუსოს დაცული ლანდშაფტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარების (ბილიკების, ზღუდეების, თავშესაფრებისა და გზამკვლევების მოწყობის და სხვა) ორგანიზება;

ზ) თრუსოს დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობა და შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა;

თ) სამთავრობო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ი) დაინტერესებულ საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

კ) თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების გაწევის ტარიფების განსაზღვრა;

ლ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 4^4 ნაწილით განსაზღვრული კოდექსის მუხლებითა და მუხლების ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;

მ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის, თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით, გათვალისწინებული სხვა საქმიანობების განხორციელება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად.

მუხლი 7. თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნასთან დაკავშირებულ მიწათსარგებლობასა და სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები

ეს კანონი არ ვრცელდება თრუსოს დაცული ლანდშაფტის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამავე კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მათ შორის, მიწის ნაკვეთების ყიდვის, გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევებში არსებულ ურთიერთობებზე);

ბ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე;

გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით ან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე;

დ) და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

16 სექტემბერი 2020 წ.

N7103-IIს